სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **№:59/01-01, 2021-26-04** ბრძანებით გამოცხადებული და თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 მაისის **№41/2021** დადგენილების მეორე პუნქტით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. თბილისი 22 ივნისი, 17 საათი 2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორი ლ. საბაური (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი ლ. ღუდუშაური (კომისიის მდივანი), ასოცირებული პროფესორი მ. ჯიქია (კომისიის წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №:**59/01-01, 2021-26-04** ბრძანებით გამოცხადებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (**აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის კათედრა, ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“**) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება

კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი ლ. საბაური

მოისმინეს: 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №:**59/01-01, 2021-26-04** ბრძანებით გამოცხადებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (**აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის კათედრა, ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“**) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარებისა და კონკურსის შედეგების შესახებ კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ლ. საბაურის ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ლ. საბაურმა აღნიშნა, რომ გამოცხადებულ ვაკანსიაზე კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად, დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად. კომისიის წევრების მიერ შედეგების გაანალიზებისა და აზრების ურთიერთშეჯერების საფუძველზე საჭიროა განხორციელდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№:**59/01-01, 2021-26-04**) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (**აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის კათედრა, ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“**)

გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა და კონკურსის შედეგების შეჯამება.

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს შემდეგი საკონკურსო აკადემიური თანამდებობის მიხედვით:

- **აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის კათედრა**

ასისტენტ -პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ლ. საბაურმა კომისიის წევრებს გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებით ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორი ლ. საბაური (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი ლ. ღუდუშაური (კომისიის მდივანი), ასოცირებული პროფესორი მ. ჯიქია (კომისიის წევრი).

თსუ-ში მოქმედი რეგულაციის თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი 5). ბიულეტენში აისახა შესაბამისი კათედრის მიხედვით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის სახელი და გვარი. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. კომისიის წევრების მიერ დაილუქა საარჩევნო ყუთი და ლუქი დამოწმდა საკონკურსო კომისიის წევრების ხელმოწერებით.

საკონკურსო კომისიის წევრებმა გადაწყვეტილების მიღების დროს ურთიერთშეაჯერეს პრეტენდენტის შეფასების ორივე ეტაპი. ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოსავლენად კომისიის წევრებმა კონკურსის პირველ ეტაპზე იხელმძღვანელეს შემდეგი კრიტერიუმებით: პრეტენდენტის კვალიფიკაციისა და პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან, საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისობა პედაგოგიურ და სასწავლო-მეთოდურ საქმიანობასთან, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის აქტიურობა, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, პრეტენდენტის წვლილი თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობაში, პრეტენდენტის წვლილი თსუ-ის წინსვლასა და განვითარებაში და სხვა.

კონკურსის მეორე ეტაპზე პრეტენდენტი შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიული უნარ-ჩვევები, ლოგიკური აზროვნებისა და გადმოცემის უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დალუქული საარჩევნო ყუთი გაიხსნა და კომისიის წევრებმა დათვალეს პრეტენდენტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

1. **აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტის კათედრა**
   ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“
   კოზმანაშვილი ლია - მიღებული ხმების რაოდენობა **4.**

დაადგინეს: 1.1. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ შესაბამისად და დაადგინა, რომ სამუშაოები განხორციელდა მოქმედ რეგულაციასთან შესაბამისობაში;

ა) თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე;

ბ) თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება აქვს გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა #2 (თსუ მე-10 კორპუსი), ოთახი #310.

კომისიის თავმჯდომარე /პროფესორი ლ. საბაური/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ასოც. პროფესორი მ. ლობჟანიძე/

კომისიის წევრები: /ასოც. პროფესორი მ. ჯიქია/

კომისიის მდივანი /ასოც. პროფესორი ლ.ღუდუშაური/